პროექტი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება № ---

ქ.ბათუმი 2019 წლის ---- ----------

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემისა და ფასის გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის, უწყებრივი სანებართვო რეესტრის (ჟურნალის) და კონკურსის წესით გამოვლენილ გამარჯვებულთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმების და სანებართვო მოწმობის შევსებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს :**

მუხლი 1.

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორ-ტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებუ-ლის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემისა და ფასის გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის, უწყებრივი სანებართვო რეესტრის (ჟურნალის) და კონკურსის წესით გამოვლენილ გამარჯვებულთან გასაფორ-მებელი ხელშეკრულების ფორმების და სანებართვო მოწმობის შევსებისა და აღრიცხვა-ანგა-რიშ-გების წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის №50 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.mats-ne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 06/07/2018, სარეგისტ-რაციო კოდი: 310150000.35.132.016398) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებულ დანართი №1-დან „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემისა და ფასის გადახდის წესი“-დან ამოღებული იქნეს 8^1 მუხლი.

მუხლი 2.

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **სულიკო თებიძე**

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემისა და ფასის გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის, უწყებრივი სანებართვო რეესტრის (ჟურნალის) და კონკურსის წესით გამოვლენილ გამარჯვებულთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმების და სანებართვო მოწმობის შევსებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის 2019 წლის 24 მაისის № GOV 0 19 00021128 რეკომენდაციის საფუძველზე დადგენილებით დამტკიცებულ დანართი №1-დან „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემისა და ფასის გადახდის წესი“-დან ამოღებული იქნეს 8[1] მუხლი.

ა.ბ პროექტის ძირითადი არსი:

ადგილობრივ დონეზე საკანონმდებლო ხარვეზის აღმოფხვრა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ხარჯებს არ საჭიროებს.

ბ.ბ პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ბ.გ პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

გ.ა საქართველოს კონსტიტუცია;

გ.ბ საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

გ.გ „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი;

გ.დ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის შიგა ტრანსპორტის კომიტეტის მიერ მიღებული შემაჯამებელი რეზოლუცია TRANS/WP-29/78/Rev.1/Amend/2. 13.08.1997

დ) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ე) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური.

ვ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური უფროსი: ეთერ ლომაძე

საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

GEORGIA

AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA

SAKREBULO OF BATUMI CITY
MUNICIPALITY

N 397-12
28/05/2019

397-12-2-201905281144

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ლაშა კომახიძეს

ბატონო ლაშა,

გეგზავნებათ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (№11/286, 27.05.2019) შემოსული (№GOV 0 19 00021128, 24.05.2019) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი ზედამხედველობის ორგანოს წერილი.

გთხოვთ, აღნიშნული საკითხის განხილვა დაავალოთ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურს და ასევე გვაცნობოთ აღნიშნულ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება.

დანართი: 3 (სამი) ფურცელი.

პატივისცემით,

სულიკო თებიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

6010 ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25
Batumi. L. Asatiani st. 25

ტელ: +995 (422) 27 90 01. ფაქსი: +995 (422) 27 01 96
Tel: +995 (422) 27 90 01. Fax: +995 (422) 27 01 96
E-mail: info@batumicc.ge

საქართველოს
მთავრობის ადმინისტრაცია

ADMINISTRATION
OF THE GOVERNMENT OF GEORGIA

GOV 0 19 00021128

24/05/2019

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 130-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 26 ივნისის №340 დადგენილების თანახმად, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტი, თავისი კომპეტენციის შესაბამისად, უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტებზე საქართველოს პრემიერ-მინისტრის სამართლებრივი ზედამხედველობის განხორციელების ხელშეწყობას.

ზემოაღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის სამართლებრივი ზედამხედველობის სამმართველოს მიერ განხორციელდა „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ტურისტული ავტობუსების მოძრაობის მარშრუტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 აპრილის **№11** და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემისა და ფასის გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის, უწყებრივი სანებართვო რეესტრის (ჟურნალის) და კონკურსის წესით გამოვლენილ გამარჯვებულთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმების და სანებართვო მოწმობის შევსებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 აპრილის **№12** დადგენილებების სამართლებრივი ექსპერტიზა, რა დროსაც გამოვლინდა შემდეგი სახის ხარვეზი:

განსახილველ დადგენილებებში დასახელებული M_2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალების დანიშნულება - „M_2 კატეგორიის ტურისტული ავტობუსი" არ შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის შიგა ტრანსპორტის კომიტეტის მიერ მიღებულ შემაჯამებელ რეზოლუციას „სატრანსპორტო საშუალებების კონსტრუქციის შესახებ" (დოკუმენტი TRANS/WP-29/78/Rev.1/Amend/2, მიღების თარიღი

საქართველო, 0114 თბილისი, ინგოროყვას 7 №7
7 INGOROKVA STR. TBILISI, 0114, GEORGIA

ტელ/TEL: (+995 32) 2990900
WWW.GOV.GE

საქართველო
ფაქსიმილე № 11/286
27" მაისი 2019 წ.

13.08.97. იხ. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №37 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის „სხვადასხვა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ინსპექტირების პერიოდულობისა და საფასურების" დამტკიცების თაობაზე"). აღნიშნული რეზოლუციის მიხედვით, M_2 და M_3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებები, მათი დანიშნულებისა და მახასიათებლების მიხედვით, იყოფა შემდეგ კლასებად:

I – საქალაქო ავტობუსები – სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც აღჭურვილია სავარძლებითა და ფეხზე მდგომი მგზავრების გადასაყვანად ადგილებით, გასასვლელის გარდა;

II – საქალაქთაშორისო ავტობუსები – სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც აღჭურვილია სავარძლებით, მაგრამ რომლებშიც დასაშვებია გასასვლელში მდგომი მგზავრების გადაყვანა;

III – შორი მიმოსვლის ავტობუსები – სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც განკუთვნილია მხოლოდ მჯდომარე მგზავრებისთვის შორ მანძილზე საკმარისად მაღალი კომფორტულობით.

შესაბამისად, ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისთვის M_2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების დიფერენცირება ტურისტულ და არატურისტულ ავტობუსებად და ე.წ. ტურისტულ ავტობუსებზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემის მიზნით, M_2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალების შეფასების კრიტერიუმებისგან განსხვავებულის დადგენა ეწინააღმდეგება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 26^2 მუხლით დადგენილ ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემის წესს. ამ სახის ნებართვის მარეგულირებელი კანონმდებლობა არ იცნობს ტერმინს „ტურისტული ავტობუსი", რაც ვიწრო გაგებით ნიშნავს ტურისტების გადასაყვან ავტობუსს. ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა კი ნიშნავს ზოგადად მგზავრის/მგზავრების გადაყვანას. „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ" საქართველოს კანონის 5^1 და 5^2 მუხლები, ისევე როგორც „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" კანონის ზემოთ დასახელებული ნორმა, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს ანიჭებს ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემის უფლებამოსილებას მგზავრების დიფერენცირების გარეშე. სანებართვო საქმიანობის რეგულირებისას ნებართვის გამცემი ორგანო კი ვალდებულია, იმოქმედოს მხოლოდ კანონის ფარგლებში. ამდენად, განსახილველი დადგენილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ადგილი აქვს ტერმინოლოგიის უხეშ აღრევას.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის №50 დადგენილებით დამტკიცებულ „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემისა და ფასის გადახდის წესში" M_2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეფასების კრიტერიუმებთან (მე-8 მუხლი) ერთად M_2 კატეგორიის ტურისტული ავტობუსების შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა (8^1 მუხლი) არამართებულია. ასევე არასწორია ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მქონე M_2 და M_3 კატეგორიის

ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის „ტურისტულის" დარქმევა და მათი გამოყენება მგზავრთა დიფერენცირებული სახით (მხოლოდ ტურისტების) გადასაყვანად, რასაც ამ შემთხვევაში ადგენს №11 დადგენილება.

ამრიგად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს სამართლებრივი საქმიანობის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, აუცილებელია, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 132-ე მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი

კახა კახიშვილი